

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2015 წლის 3 აგვისტო

დაბა ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტისა და „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის №576 დადგენილებისა და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

განისაზღვროს და დამტკიცდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა, მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №30 დადგენილება.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ესებუა

დანართი №1

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები და თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგოები (ლარებში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650



2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
წამყვანი საჯარო თანამდებობა		
5	აპარატის უფროსი	1000
უფროსი საჯარო თანამდებობა		
6	განყოფილების უფროსი	790
7	მთავარი სპეციალისტი	560
უმცროსი საჯარო თანამდებობა		
8	წამყვანი სპეციალისტი	550
9	უფროსი სპეციალისტი	530
10	სპეციალისტი	470

დანართი №2

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს აპარატი	
ა)	აპარატის უფროსი	1
2	იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება	3
ა)	განყოფილების უფროსი	1
ბ)	მთავარი სპეციალისტი	2
3	საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება	3
ა)	განყოფილების უფროსი	1
ბ)	მთავარი სპეციალისტი	2
4	საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება	2
ა)	განყოფილების უფროსი	1
ბ)	უფროსი სპეციალისტი	1
5	საფინანსო-საბიუჯეტო, აგრარულ, ქონების მართვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილება	2
ა)	განყოფილების უფროსი	1
ბ)	მთავარი სპეციალისტი	1



	სულ ჯამი	11
--	----------	----

